ბუღალტერთა საერთაშორისო დღე

„ყოველი წარმატებული კომპანიის
უკან პროფესიონალი ბუღალტერი დგას“
/ ტ. ბერიძე/

საუკუნოვანი საერთაშორისო ჟურნალ **„ეკონომიკის“** სარედაქციო კოლეგიისა და **„ბუღალტერთა კავშირის“** სახელით ვულოცავთ ყველა ბუღალტერს, მთელ საზოგადოებას **ბუღალტერთა საერთაშორისო დღეს** - 10 ნოემბერს, რომელიც ყოველთვის მასშტაბურად აღინიშნება როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ბუღალტრული აღრიცხვის როლი თანამედროვე ბიზნესში, ეკონომიკის განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანია. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს სწორედ მთავარ მამოძრავებელ ძალას, აქსელერატორს ბიზნესის არამარტო ეფექტიან ფუნქციონირებაში, არამედ მცირე თუ საშუალო ბიზნესის გაფართოებაში. საკმარისი ფინანსური რესურსების მოზიდვის სწორი პოლიტიკა, მათი სწორი მენეჯმენტი და აღრიცხვა, შემდგომში შესაფერი სტრატეგიული მიმართულებით წარმართვა-ყველაფერი ეს ბუღალტრის დიდი და ინტელექტუალური შრომის შედეგია.

გლობალური ეკონომიკის, სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში, თანამედროვე ბუღალტერს ბევრი გამოწვევა აქვს, როგორიცაა: თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და მორგება კონკრეტული კომპანიის სპეციფიკაზე, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების ინტენსიური გაცნობა, საგადასახადო მენეჯმენტი და ა.შ. ყოველივე ეს ბუღალტრისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს კომპანიის წინსვლისათვის. ნებისმიერი ბიზნესის წარმატებული განვითარება შეუძლებელია ბუღალტრის აქტიური საქმიანობის გარეშე. თითოეული კომპანია, იქნება ეს დიდი, საშუალო თუ მცირე ბიზნესი, წარმოუდგენელია არსებობდეს ბუღალტრის გარეშე.

ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიისა და „ბუღალტერთა კავშირის“ სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავთ ყველა ბუღალტერს საერთაშორისო დღეს, ვუსურვებთ **მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას, პოზიტიური განვითარების გაგრძელებასა** და მომავალში **ახალ წარმატებებს** ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში, ბიზნესის განვითარებაში.

რევაზ შენგელია
ჟურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი

ტატა ბერიძე
„ბუღალტერთა კავშირის“ პრეზიდენტი